



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030418173220516

04-555/ო

07 / ნოემბერი / 2016 წ.

„სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 13
ოქტომბრის 04-523/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 13 ოქტომბრის №04-523/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება – ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“) ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ. მამულაშვილი) უზრუნველყოს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ღონისძიებები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ პროექტიულად გამოქვეყნება, დადგენილი პირობებით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, თ. მოდებამეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის გეგმის პროექტი						დანართი №1		
1. შედგენის თარიღი			2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 202178927					
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება სოციალური მომსახურების სააგენტო			4. დაფინანსების წყარო					
5. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა						12,671,727		
№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	სავარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვების დაწყების სავარაუდო ვადები	შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7		8
1	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	6,639,251	ე.ტ.	IV/2016	I-IV/2017	სოციალური უზრუნველყოფა	
2	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	5,710,000	ე.ტ.	I/2016	I-IV/2017	სოციალური უზრუნველყოფა	ინსულინის ანალოგების მრავალწლიანი (2016-2017 წ.წ.) შესყიდვა
3	90900000	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	310,812	ე.ტ.	IV/2016	I-IV/2017	საქონელი და მომსახურება	
4	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	11,664	ბ.ე.ტ.	IV/2016	I-IV/2017	საქონელი და მომსახურება	
სულ:			12,671,727					